ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 2022 წლის 16 მაისის სხდომის N7 ოქმის ამონაწერი - ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის" 2022 წლის 11 მაისის N71-2422131158 მომართვის განხილვა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი N02.

მოისმინეს: 02. მ. ჭკადუას ინფორმაცია, რომელმაც კომისიის წევრებს აცნობა, რომ კომისიის მიერ 2022 წლის 21 იანვრის N1 სხდომის ოქმის N14 საქომო გადაწყვეტილებით ააიპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს" მიეცა თანხმობა უძრავი ქონების აუქციონის წესით იჯარის ფორმით განკარგვაზე, ცენტრის 2022 წლის 11 მაისის N71-2422131158 მომართვით დგინდება, რომ გამოცხადებული აუქციონი დასრულდა დადებითი შედეგების გარეშე და მოთხოვნილია განმეორებითი აუქციონის გამოცხადების საკითხის განხილვა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ იმ მიზნით, რომ მოხდეს ქონების განკარგვა და არ ჩაიშალოს აუქციონი მიზანშეწონილია ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს" მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციული შენობის (მდებარე მისამართზე: ქ.ზუგდიდი.ზვიად გამსახურდიას გამზირი N1 საკადასტრო კოდი: 43.31.49.143) პირველ სართულზე მდებარე: 1. კაფეტერია 43,02 კვ.მ. სამზარეულო ოთახი - 8.95 კვ.მ. 2. კორიდორი - 6 კვ. მ. 3. დაცვის ოთახი - 20 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული: 1. ტერასის: ა) ადმინისტრაციული შენობის ფასადის წინა მხარე -69,75 კვ.მ. ბ) ადმინისტრაციული შენობის მარჯვენა ფლიგელი -58,87 კვ.მ. 2. შენობაში უკანა შემოსასვლელი კარის მიმდებარედ „სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილი ადგილი"-ის - 11,2 კვ.მ.) იჯარის ფორმით 3 წლის ვადით განკარგვის მიზნით განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე გატანაზე. ყოველწლიური საიჯარო ქირა მოქმედი კანონდმებლობის შესაბამისად განისაზღვროს 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით, ბიჯი განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარით, ბე განისაზღვროს 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარით. იჯარის პირველ თვეში მოიჯარემ გადაიხადოს იჯარის ორი თვის ქირა, საიდანაც ერთი თვის ქირა ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო ქირაში, აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებულ იქნას იჯარის ხელშეკრულებაში.

ღია კენჭისყრის შედეგად წარმოდგენილ წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომის დამსწრე კომისიის ყველა წევრმა.

მიიღეს გადაწყვეტილება N02: ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრს" მიეცეს თანხმობა ადმინისტრაციული შენობის (მდებარე მისამართზე: ქ.ზუგდიდი.ზვიად გამსახურდიას გამზირი N1 საკადასტრო კოდი: 43.31.49.143) პირველ სართულზე მდებარე: 1. კაფეტერია 43,02 კვ.მ. სამზარეულო ოთახი - 8.95 კვ.მ. 2. კორიდორი - 6 კვ. მ. 3. დაცვის ოთახი - 20 კვ.მ. და მეორე სართულზე არსებული: 1. ტერასის: ა) ადმინისტრაციული შენობის ფასადის წინა მხარე -69,75 კვ.მ. ბ) ადმინისტრაციული შენობის მარჯვენა ფლიგელი -58,87 კვ.მ. 2. შენობაში უკანა შემოსასვლელი კარის მიმდებარედ „სველი წერტილების მოსაწყობად გამოყოფილი ადგილი"-ის - 11,2 კვ.მ.) იჯარის ფორმით 3 წლის ვადით განკარგვის მიზნით განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე გატანაზე. ყოველწლიური საიჯარო ქირა მოქმედი კანონდმებლობის შესაბამისად განისაზღვროს 54 000 (ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარის ოდენობით, ბიჯი განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარით, ბე განისაზღვროს 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარით. იჯარის პირველ თვეში მოიჯარემ გადაიხადოს იჯარის ორი თვის ქირა, საიდანაც ერთი თვის ქირა ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო ქირაში, აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებულ იქნას იჯარის ხელშეკრულებაში..

24.05.2022
კომისიის მდივანი ლაშა ტორუა: